თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს

მოსარჩელე – ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
მის. ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 62
მოპასუხე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
მის. ქ. თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. №4
– საქართველოს პარლამენტი
მის. ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზირი №8
– საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მის. კოსტავას ქ. 68ა
– საქართველოს რეგისტრირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ფილიალი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი კომპანია "საქართველო"
მის. ქ. თბილისი, სბურთალოს ქ. №38
– საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
მის. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №54

დაზუსტებული სარჩელი

(ოფიციალური გამოცემის განხორციელების თაობაზე)

2000 წლის 31 მაისს, საქართველოს პარლამენტმა, №341-ის დადგენილებით რატიფიცირება გაუკეთა "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულებას დანართებთან ერთად (შემდგომში – ხელშეკრულება).

რადგან საქართველოს პარლამენტმა ხელშეკრულების რატიფიკაციის გზით საქართველოსთვის მის სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობა გამოხატა, ხელშეკრულება, მისი ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგენებით ოფიციალურად უნდა გამოქვეყნებულიყო "პარლამენტის უწყებანში" (იხ. მუხლი 30, პუნქტი 1 საქართველოს კანონის "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" 16.10.1997 წ. №934-ის). საქართველოს ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი ოფიციალურად ასევე უნდა გამოქვეყნებულიყო საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში. თუნდაც რომ ჩავთვალოთ, რომ ნორმატიული აქტების შესახებ კანონსა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კანონს შორის ამ საკითხთან მიმართებაში ადგილი აქვს კოლიზიას, ყველა შემთხვევაში ეს ხელშეკრულება ოფიციალურად მაინც უნდა გამოქვეყნებულიყო საქართველოს პარლამენტის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კანონის მიხედვით "პარლამენტის უწყებანში". ეს ცალსახად ასეა, რადგან საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კანონი, რომელიც ამ შემთხვევაში უფრო სპეციალურ კანონს წარმოადგენს, უფრო გვიან არის მიღებული და გამოქვეყნებული, შესაბამისად, თვით ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მიხედვითაც კი უპირატესი იურიდიული ძალის მქონეა (იხ. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი). კერძოდ, ნორმატიული აქტების შესახებ კანონი მიღებულია 1996 წლის 29 ოქტომბერს და გამოქვეყნდა 1996 წლის 19 ნოემბერს, ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ კანონი მიღებულია ერთი წლის შემდეგ, 1997 წლის 16 ოქტომბერს. პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით "პარლამენტის უწყებანი"-ს გამოცემა საქართველოს პარლამენტის, კერძოდ კი პარლამენტის აპარატის მოვალეობაა (იხ. პარლამენტის რეგლამენტის მუხლები: 76(3) და 194(კ)). სამწუხაროდ ხელშეკრულება დღემდე ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, რაც უხეშად არღვევს ჩვენს უფლებებს, ისევე როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის უფლებებს, გარანტირებულს საქართველოს კანონმდებლობით.

როგორც მოგეხსენებათ, "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, "ოფიციალურად გამოქვეყნებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების დებულებები, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებენ დამატებითი შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, საქართველოში მოქმედებენ უშუალოდ". ხელშეკრულება სწორედ ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, ის ადგენს კონკრეტული ხასიათის უფლებებსა და მოვალეობებს და არ საჭიროებს დამატებითი

შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიღებას, მაგრამ იმის გამო, რომ მისი გამოქვეყნება ჭიანურდება, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას უშუალოდ ვისარგებლოთ ამ ხელშეკრულების დებულებებით. ჩვენგან განსხვავებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისას მაინც ისარგებლა უშუალოდ ამ ხელშეკრულების მუხლებით, რითაც იგნორირება გაუკეთა კანონის მოთხოვნას. ამის შედეგად ჩვენ აშკარად არათანაბარ პირობებში ვართ ჩაყენებული. გარდა ამისა, ეს ხელშეკრულება "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (შემდგომში – ორჰუსის კონვენცია) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ"- ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენს "გარემოსდაცვით ინფორმაციას". შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ჩვენთვის და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებისათვის ეს ინფორმაცია სრულად, ობიექტურად და დროულად უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ე.ი. მანამდე, სანამ მათ საფუძველზე მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის შესახებ.

ორჰუსის კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ცალსახად აფიქსირებს, რომ ჩვენი ქვეყანა ვალდებულია საკუთარი კანონმდებლობის ფარგლებში მიიღოს ზომები, რათა გაავრცელოს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებები. საერთაშორისო ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნება ამ კონვენციის გავრცელების ის ფორმაა, რომელიც უშუალოდაა რეგლამენტირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე არ განხორციელებულა.

ის, რომ ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტი ხელისუფლების ორგანოებმა დღემდე არ გახადეს საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომი ოფიციალური გამოქვეყნების გზით, ყოვლად დაუშვებელია, რადგან წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის საერთაშორისო შეთანხმებების და კანონმდებლობის (მათ შორის პარლამენტის რეგლამენტის) მოთხოვნათა სრულ იგნორირებას. ამავე დროს ეს არის ოვით გამოსაქვეყნებელი ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებების იგნორირებაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნების გაჭიანურების გამო უხეშად ილახება საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებები, ისევე, როგორც ჩვენი ასოციაციის უფლებები გარემოსდაცვით ინფორმაციაზე. ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას უშუალოდ ვისარგებლოთ ხელშეკრულების დებულებებით ჩვენი საწესდებო მიზნების და უფლებების განსახორციელებლად საქართველოში. ხელშეკრულების გამოუქვეყნებლობა ასევე გვიზღუდავს შესაძლებლობას, ვისარგებლოთ ხელშეკრულების ტექსტით გარემოსდაცვითი მიზნებისათვის. საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ინტერესებსაც უშუალოდ ეხება ამ ხელშეკრულების მუხლები (მათ შორის გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში), მისი გამოუქვეყნებლობის გამო ასევე მოკლებული არიან არამარტო ამ მუხლებით უშუალოდ სარგებლობის საშუალებას, არამედ საერთოდ ობიექტურ ინფორმაციას, ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტის შესახებ. ჩვენ ვართ "დაინტერესებული საზოგადოების" წარმომადგენლები, ორჰუსის კონვენციის მე-2 მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით და კონვენციის მიხედვით ჩვენს სახელმწიფოს ნაკისრი აქვს ვალდებულება უზრუნველყოს მსგავსი სარჩელების გარჩევა სასამართლოში (იხ. ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლი "მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა"). ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **გთხოვთ:**

განიხილოთ ჩვენი სარჩელი და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად დააკმაყოფილოთ მოპასუხეებს დაუყოვნებლივ განახორციელონ "საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნება დანართებთან ერთად.

მოსარჩელე: ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
გაშგეობის თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე

26.03.2004

/მ. ქოჩლაძე/